*დანართი №2*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ  საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“  დამატების შესახებ

| |
|---|
| ექსპერტთა ჯგუფის წევრები<br>თავმჯდომარე: ლია ხარებავა<br>წევრები: ნინო ხარხელაური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: ა(ა)იპ  საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 404409261

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 10 ივლისის №854296 გრძანების საფუძველზე, 2025 წლის 15 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯში (ქ.თბილისი,* სამრეკლოს ქ. № 19, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსი *), (შემდგომში-დაწესებულება), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ გრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინის“ განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკის კატალოგი, შეაფასა საგანმანათლებლო მატერიალური რესურსების რელევატურობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუ ჩაატარა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ამ ეტაპზე ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი-მებაღეობის საფუძველზე შემუშავებულ პროგრამას "ბაღის დიზაინი" მილევად რეჟიმში. ვიზიტი მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში ჩატარდა. სტანდარტის დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა. ექსპერტთა ჯგუფმა შეჯერებული პოზიციის საფუძველზე განმავითარებელი რეკომენდაციები გასცა.*

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

| | | |
|---|---|---|
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.2.რეკომენდებულია დაწესებულებამ ვერიფიკაციის პროცესის მართვის პროცესების სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით უზრუნველყოს ვერიფიკაციის საკითხების განახლება.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბაღის დიზაინი |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ბაღის დიზაინში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0812 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | ბრ. №26 , 10.06.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული ენა |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | საქართველო, თბილისი 0103, ქვემო ელია,<br>სამრეკლოს ქ. № 19, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსი |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

| | |
|---|---|
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | 0 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 0 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 0 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

დასაბუთება
.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება ეფუძნება კომპლექსურ და მრავალწყაროვან ანალიზს. ეს ანალიზი მოიცავს როგორც შიდა ინსტიტუციურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შეგროვებულ მონაცემებს, რომლებიც ასახავს პროგრამის მიმართ არსებულ მოთხოვნადობას, შრომის ბაზრის ტენდენციებსა და დასაქმების შესაძლებლობებს.კერძოდ:

- წარმოდგენილი პროგრამა ეხმიანება კოლეჯის მისიას, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით მოამზადოს ეკოლოგიური ცნობიერების მქონე, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები  და მისი სტრატეგიული განვითარების 2023-2029 წლის გეგმის მე-2 მიზანს *მებაღეობისა და ბაღის დიზაინის მოდულური პროგრამების განხორციელებისა და შეფასების შესახებ*, რაც პროგრამის განხორციელების მიზნობრიობას ადასტურებს.
- შრომის ბაზრის მოთხოვნის ანალიზი განხორციელებულია სხვადასხვა დონეზე — დასაქმების ეროვნული და რეგიონული კვლევებით, მათ შორის LMIS-ის, PMCG-ის, GFA-ის, ISET-ის და სამინისტროს მიერ მომზადებული დოკუმენტების საფუძველზე. აღნიშნული ანალიზი ცხადად ასახავს მოთხოვნას იმ კომპეტენციებზე, რაც წარმოდგენილი პროგრამის შინაარსით მიიღწევა.
- საერთაშორისო ბაზრის კონტექსტი აჩვენებს, რომ მწვანე კომპეტენციების განვითარების გლობალური ტენდენცია აძლიერებს პროგრამის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროფესიული მიმართულების სტატუსს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

- დამსაქმებელთა უკუკავშირი და დასაქმების პლატფორმების ანალიზი ადასტურებს, რომ ბაღის დიზაინის მიმართულებით არსებობს კონკრეტული მოთხოვნა უნარებზე. ეს უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას რეალურ დასაქმების გარემოსთან.
- ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისუნარიანობა კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლებაში შედეგზე ორიენტირებული მიდგომის გათვალისწინებით.
- დეფიციტური კადრების იდენტიფიცირება და პროგრამის უნიკალურობა რეგიონში წარმოადგენს მნიშვნელოვან არგუმენტს, რომელიც ადასტურებს, რომ კოლეჯის მიერ შემოთავაზებული პროგრამა პასუხობს როგორც რეგიონულ ეკონომიკურ საჭიროებებს, ისე პროფესიული განათლების განვითარების პრიორიტეტებს.
- შესაბამისი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობა სრულად არის უზრუნველყოფილი კოლეჯის ფარგლებში.
- კოლეჯის სასწავლო ინფრასტრუქტურის, ბიბლიოთეკური რესურსების და ფართო პრაქტიკული ბაზის (მათ შორის შპს "გარდენია"-სთან გაფორმებული მემორანდუმის) სახით, ქმნის ხელსაყრელ გარემოს პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებული პროგრამის ხარისხიანად განსახორციელებლად.

2.1.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

„ბაღის დიზაინი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. დაწესებულებას შიდა მარეგულირებელი აქტით, „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეწყვეტის წესი” დადგენილი აქვს დამატებითი პირობა პროგრამაზე ჩასარიცხად. კერძოდ, მოტივაციური გასაუბრების წარმატებით დაძლევის შემთხვევაში აპლიკანტს ენიჭება სტუდენტის სტატუსი დირექტორის ბრძანების საფუძველზე . შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

კოლეჯი „ბაღის დიზაინი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს დოკუმენტის — *„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია: ბაღის დიზაინი“* — საფუძველზე. აღნიშნული მეთოდოლოგია ეყრდნობა კოლეჯის მიერ შემუშავებულ ზოგად მიდგომას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის და ითვალისწინებს როგორც პროგრამის სპეციფიკას, ისე დაწესებულების მატერიალურ, ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბაღის დიზაინი“კოლეჯში განსაზღვრულია:

- ორი A ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც განკუთვნილია თეორიული სწავლებისთვის. თითოეულ გარემოში მოწყობილია 20 სამუშაო ადგილი სტუდენტებისთვის (მაგიდა და სკამი), აგრეთვე აღჭურვილია მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდით, სკამითა და კომპიუტერით.
- ერთი B ტიპის სასწავლო გარემო — კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია 20 კომპიუტერითა და შესაბამისი სამუშაო ადგილებით სტუდენტებისთვის. სივრცე ასევე აღჭურვილია მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი) და პროექტორით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესიული მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-საკადრო მომსახურების წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.

ამჟამად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას — „ბაღის დიზაინი“ მილევად რეჟიმში, განახლებული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის-”მებაღეობა” საფუძველზე შემუშავებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამის, ბაღის დიზაინი, ფარგლებში დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადით მოითხოვა 40 სტუდენტი, პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში, კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე ყოველწლიურად 20 სტუდენტის მიღება, რაც სრულად შეესაბამება როგორც ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბაღის დიზაინი“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა შეესაბამება კოლეჯის მიერ მიღებულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტს და წარმოადგენს რესურსებზე დაფუძნებულ, დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

2.1.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯს გააჩნია ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია თემატური წიგნები და სახლმძღვანელოები, აგრეთვე, სხვადასხვა სანერგეების კატალოგები, თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა არის უცხოენოვანი, რის გამოც, სტუდენტთა უმეტესობისთვის ხელმისაწდომი არაა. კოლეჯმა ეს პრობლემა შემდეგნაირად გადაჭრა, მათ თარგმნეს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები და გარდა ამისა, შექმნილი აქვთ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

სალექციო კურსების სახელმძღვანელოები, სწორედ ეს რესურსი აქვთ მითითებული სასწავლო რესურსად. რაც შეეხება, პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განსახორციელებლად საჭირო რესურსს, კოლეჯს შესაბამისი რესურსი გააჩნია.

2.1.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამას არ გააჩნია არჩევითი მოდულები.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის N36 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგია“, „მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები“-ს მიხედვით, ბაღის დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N26 ბრძანებით.

2.1.1.6. ინდიკატორი შესაბამისობაშია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება „ბაღის დიზაინი“ სრულ თანხვედრაშია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებასთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ბაღის დიზაინში). შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.7. ინდიკატორი შესაბამისობაშია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამას საფუძვლად უდევს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „ ბაღის დიზაინი“, შესაბამისად, პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, კვალიფიკაციის დონე, კლასიფიკაციის აღწერა, დასაქმების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

შესაძლებლობები, დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები და მათო დეტალური აღწერა, პროგრამის სტრუქტურა და დამატებითი ინფორმაცია, პროგრამის დანართები და სხვა. ასევე, პროგრამა შეესაბამება შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც დამატებით, პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის დამტკიცების გრიფს, საგამანათლებლო დაწესებულებისა და პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაციას.

2.1.1.8. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ბაღის დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

კოლეჯს გააჩნია პროგრამის განხორცილებისთვის აუცილებელი A გარემო, რომელიც სრულად არის აღჭურვილი 20 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო რესურსით: მაგიდა/სკამი, პერსონალური კომპიუტერი.

პრაქტიკა 2 ნაწილისგან შედგება, ერთი ნაწილი მოიცავს საველე პრაქტიკას, აზომვებს, გარემოს შესწავლას და ბაღის მოვლას, ხოლო მეორე მიმდინარეობს ლაბორატორიაში, სადაც ხდება დიზაინის შექმნა, ჯერ ქაღალდზე, ხოლო შემდეგ 3 გრაფიკული პროგრამის გამოყენებით. ყველა გრაფიკული პროგრამა ჩატვირთულია თითოეული სტუდენტის კომპიუტერში და ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმების შედეგად, პროგრამები ფუნქციურია.

პროგრამის პრაქტიკის საველე ნაწილი, აზომვები, გარემოს შესწავლა და ბაღის მოვლა ხორციელდება, როგორც კოლეჯის(10ჰა), აგრეთვე სამების საკათედრო ტერიტორიის ეზოში, სადაც მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობს ბაღის მოვლის სამუშაოები. ყველა სამუშაო, რაც ხორციელდება აუდიტორისა და ველზე უზრუვნელყოფილია საჭირო მატერიალური რესურსით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

2.2.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის განხორცილებაში ჩართულია 16 მაღალკვალიფიციური, გამოცდილი პედაგოგი. მათი რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორცილების მდგრადობას, რადგან ყველა მიმართულებას ყავს რამდენიმე პედაგოგი.

2.2.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პედაგოგს აქვს როგორც დარგში მუშაობის, აგრეთვე პედაგოგიური მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. ისინი იცნობენ სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებს და წარმატებით იყენებენ სწავლების პროცესში.

2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის ლანდშაფტის არქიტექტორი, მრავალწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილებით, საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული პროფესიონალი. მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით, როგორც პროფესიულ, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელში.

2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და ჩატვირთულია სტუდენტთა პერსონალურ კომპიუტერებში, აგრეთვე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

აღსანიშნავია, რომ კოლეჯის თანამშრომელთა მიერ ქართულ ენაზე ნათარგმნია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსი, აგრეთვე შექმნილი აქვთ სალექციო კურსები.

2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე რომლის მიხედვითა პირს უდასტურდება სსსმ სტატუსი, ტარდება აპლიკანტთან გასაუბრება. გასაუბრების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ კოგნიტურ და ფიზიკურ შესაძლებელობებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კოლეჯის კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, კერძოდ: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი (საჭიროების მიხედვით, მოდულების განმახორციელებლების ჩართულობით) ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენენ დასამტკიცებლად კოლეჯის დირექტორს. აღნიშნული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტს შესაძლებელია განესაზღვროს ინდივიდუალური სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები და კომპონენტები, ასევე საგამოცდო დრო.

2.2.1.6. ინდიკატორი შესაბამისობაშია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო კალკულაციას და სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარს (10 სტუდენტი). პროგრამის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამა დაფინანსებულია უნარების სააგენტოს მიერ და ნაწილობრივ საპატრიარქოს მიერ.

პროგრამის განხორციელებასთა დაკავშირებულლი ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას და პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2.2.1.7. ინდიკატორი შესაბამისობაშია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის დანართი № 25, განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროგრამის დანართი № 26, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- შინაგანაწესი;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფაქტობრივი გარემოება;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესი რეგულირდება დოკუმენტით – *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგია“*. აღნიშნული დოკუმენტი ასახავს კოლეჯის მიერ შემუშავებულ ინსტიტუციურ მიდგომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიან ამოქმედებასა და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას.

დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამების შეფასება და განვითარება ეფუძნება სტრუქტურირებულ პროცედურებსა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ციკლის — PDCA პრინციპის (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე) — ეფექტიან დანერგვას. პროგრამის შეფასებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც აღნიშნული პროცესის ფარგლებში ავითარებს შეფასების ინსტრუმენტებს (მათ შორის, კითხვარებს). შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც შემდგომი რეაგირებისა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების მიზნით გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს. თავის მხრივ, პროგრამის ხელმძღვანელი განხილული რეკომენდაციების საფუძველზე უზრუნველყოფს საჭირო ცვლილებების ინტეგრირებას პროგრამაში. მოდიფიცირებული პროგრამა წარედგინება ხარისხის მართვის სამსახურს გასაცნობად და კოლეჯის დირექტორს — დამტკიცებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შეფასების დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების დამუშავებისა და განვითარების პროცესს წარმართავს დირექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის N36 ბრძანებით დამტკიცებული “ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები”-ს შესაბამისად. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამების შეფასების ინსტრუმენტებისა და კვლევის მეთოდების მრავალფეროვანი კომპლექტი, რაც უზრუნველყოფს მონაცემების მოკვლევისა და ანალიზის პროცესის სისტემურობას. კერძოდ, შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები: ზოგადი კითხვარი პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლისათვის, მოდულის შეფასების კითხვარი სტუდენტისათვის, მოდულის შეფასების კითხვარი პროფესიული მასწავლებლისთვის, კურსდამთავრებულის კითხვარი, დამსაქმებლის კითხვარი და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობრივი ანალიზის მაჩვენებლების ანალიზი. აღნიშნული კითხვარები მიზნად ისახავს პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პოზიციიდან, რაც ქმნის მრავალმხრივი და ობიექტური ანალიზის შესაძლებლობას.

გარდა ამისა, სწავლების ხარისხის შეფასებისათვის კოლეჯი იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა, მაგ. ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა, ინტერვიუები, პროცესზე დაკვირვება. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე საზოგადოებისგან მიღებულ უკუკავშირს. კოლეჯი აანალიზებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის — დაწესებულების ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე განთავსებულ აქტივობებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

გამოხმაურებებს, კომენტარებსა და წერილებს. აღნიშნული უკუკავშირი განიხილება როგორც ერთ-ერთი ღირებული რესურსი დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პროგრამის შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს შეფასების ანგარიშს შესაბამისი რეკომენდაციებით, რომელზეც დაყრდნობით ფორმირდება კონკრეტულ საჭიროებაზე ორიენტირებული განვითარების/სამოქმედო გეგმა. ეს პროცესი უზრუნველყოფს შეფასების შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესებისა და ხარისხის ამაღლებისთვის.

2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება ხორციელდება დოკუმენტების — *„პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგია“* და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები” შესაბამისად. პროცესი ეფუძნება ხარისხის მართვის ციკლის (PDCA) პრინციპებს: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებასა და ხარისხის მართვას. შეფასების პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც გეგმავს და ახორციელებს შეფასებას წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებით, მათ შორის: კითხვარები სტუდენტებისთვის, პროფესიული მასწავლებლებისთვის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისთვის, რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები, ინტერვიუები, პროცესზე დაკვირვება და უკუკავშირის შეგროვება საზოგადოებასთან კომუნიკაციის არხების მეშვეობით.
შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს შესაბამის ანგარიშს რეკომენდაციებით. აღნიშნულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, თანამონაწილეობითი პრინციპით მუშავდება კონკრეტულ საჭიროებაზე მორგებული განვითარების/სამოქმედო გეგმა.

შემუშავებული რეკომენდაციები გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც პასუხისმგებელია ცვლილებების პროგრამაში ინტეგრირებაზე. განახლებული ვერსია განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და საბოლოოდ წარედგინება კოლეჯის დირექტორს დამტკიცებისთვის.

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ მიმდინარე პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასებების საფუძველზე განახლდა კომპიუტერული ბაზა და სასწავლო რესურსი. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა კოლეჯში ეფექტიანად არის ჩართული გადაწყვეტილებების მიღებისა და პროგრამების მიზნობრივი განვითარებისთვის, რაც აძლიერებს ხარისხზე ორიენტირებულ მართვის კულტურას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

2.3.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

სასწავლო გეგმა დეტალურად არის განსაზღვრული, პროგრამის ხანგრძლივობა,- 62 სასწავლო კვირა, ქართული ენის მოდულებისთვის განკუთვნილია 26 სასწვლო კვირა, ყოველი მოდული წარმოდგენილია საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასებისათვის განსაზღვრული საათების განაწილებით. აღსანიშნავია, რომ კვირის განმავლობაში სტუდენტის მაქსიმალური დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი/პროფესიული მოდულები არ არის წარმოდგენილი წინაპირობებით, ისინი დალაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით და გათვალისწინებულია პროგრამის თავისებურებები.

2.4.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულება სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებს ცვლილებებს სასწავლო და საგამოცდო ცხრილებში, შეიმუშავებს ინდივიდუალურ გეგმებს, საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად ნებადართულ მოდულებში აორგანიზებს დისტანციურ სასწავლო პროცესს. შესაბამისად, დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცესში სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, სასწავლო პროცესი მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სწავლების მეთოდებს, მათ შორის ლექცია/ინტერაქციული ლექცია, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, ვიდეოს ჩვენება, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, კეთება ინსტრუქტაჟით, სასწავლო ექსკურსია და სხვა.

2.4.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის, მობილობით ჩარიცხვის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტების შემთხვევაში, კოლეჯი ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის №23 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის – *„საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“* შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის საფუძველზე პროფესიული პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და ხორციელდება პროფესიული სტუდენტების ან მათი წარმომადგენლების, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციის შესაბამისი წარმომადგენლების ჩართულობით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მოქნილობას, ადაპტირებას სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად და ხელს უწყობს სწავლების ხელმისაწვდომობის ზრდას. გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მიერ წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული და მოქნილი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას. აღიარება შეიძლება განხორციელდეს როგორც ჩათვლის, ისე დიპლომის საფუძველზე მიღებული შედეგების აღიარებით.

2.4.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
კოლეჯში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კოლეჯში არსებულ იმიტირებულ სასწავლო გარემოში, თუმცა გაცნობითი ექსკურსიების ორგანიზებისთვის, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „გარედნია“-სთან, მემორანდუმი დადასტურებულია ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, ხოლო მისი მოქმედების ვადა განუსაზღვრელია. მემორანდუმის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში შპს გარდენია, უზრუნველყოფს პროფესიული კოლეჯის სტუდენტებისათვის პრაქტიკის გატარებას თავის სარგებლობაში არსებულ სანერგეში. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ აღებული ვალდებულებები და იმოქმედონ მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე.

2.4.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის ზოგადი დებულება, რომელიც არეგულირებს კოლეჯში შრომის უსაფრთხოების დაცვისა და სამედიცინო დახმარების, გადამდები დაავადებების პრევენციის ან მათზე რეაგირების დროს მოქმედებების, ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით, ფეთქებადი ნივთიერებების აღმოჩენის დროს აუცილებელი უსაფრთოხების წესებსა და პროცეუდრებს. კოლეჯის სასწავლო/სამუშაო გარემოში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმების დაცვა. „ბაღის დიზაინი“-ს საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

2.4.1.6. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბაღის დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო გეგმა, მოდულები);
- სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საზოგადოებრივი კოლეჯის ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დებულება;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

დირექტორის 2025 წლის 6 ივნისის №24 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების წესი" მოიცავს შეფასების პროცესის დეტალურ რეგლამენტაციას და დაფუძნებულია ხუთ ძირითად პრინციპზე: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. დოკუმენტში წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები ასახავს ამ პრინციპების ინტეგრაციას შეფასების ციკლის ყველა ეტაპზე — ინსტრუმენტის შერჩევიდან მტკიცებულებების შენახვამდე.

დადგენილი წესის შესაბამისად, მოდულის განმახორციელებელი პერსონალი შეიმუშავებს შეფასების ინსტრუმენტს მოდულში მითითებული შეფასების მიმართულებების (პროცესზე დაკვირვება, შედეგის შეფასება, გამოკითხვა) და სწავლის შედეგების შესაბამისად. ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში, რომელიც წინ უსწრებს შეფასებას მინიმუმ 10 დღით ადრე, ხორციელდება ანალიზი მისი ვალიდურობის, შინაარსობრივი თანხვედრის და შედეგებზე ორიენტირებული შესაბამისობის თვალსაზრისით. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს, რომ გამოყენებული ინსტრუმენტი აკმაყოფილებდეს სწავლის შედეგის სანდო და მიზნობრივი დადასტურების შესაძლებლობას.

შეფასების პროცესში პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს კონკრეტულ მტკიცებულებებს, რომლებიც უნდა იყოს ავთენტური, ვალიდური, საკმარისი და სამართლიანი/ობიექტური და მოდულის სპეციფიკაცით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი.

სტუდენტი შეფასების შედეგებს იღებს 5 სამუშაო დღის ვადაში, რაც უზრუნველყოფს დროულ კომუნიკაციასა და უკუკავშირს. სწავლის შედეგი მიღწეულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდა ყველა კრიტერიუმის მიხედვით. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში განსაზღვრულია გასაჩივრების მკაფიო პროცედურა — სტუდენტს შეუძლია 2 დღეში შეიტანოს საჩივარი, ხოლო შემფასებელი ვალდებულია, 2 სამუშაო დღეში განმეორებით განიხილოს ნამუშევარი და დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. დამატებით, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აპელაციის გზით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.

შეფასების წესი ასევე ითვალისწინებს განმეორებითი შეფასების შესაძლებლობას უარყოფითი შედეგის ან გამოცდაზე არ გამოცხადების შემთხვევაში. განმეორებითი შეფასებისას შემფასებელს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს როგორც იგივე, ისე მოდიფიცირებული ინსტრუმენტი, რაც შეფასების პროცესს ანიჭებს ადაპტურ და მოქნილ ხასიათს, ამავე დროს ინარჩუნებს ვალიდურობისა და სანდოობის პრინციპებს.

შეფასების პროცესში წარმოებული მტკიცებულებები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას მატერიალურ ან ელექტრონულ ფორმატში. მოდულის დასრულების შემდეგ მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების სისტემა მოიცავს და რეგულაცია არეგულირებს ყველა აუცილებელ კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებს (პროცესი, ინსტრუმენტი, მტკიცებულება).

2.4.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით "პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესი" მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც გამოყოფს ვერიფიკაციის გეგმის შედგენის, შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის ძირითად მიმართულებებს. დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაციის გეგმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

შედგენის ეტაპზე ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდს, ხოლო პროცესში ჩართულნი არიან დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით და სასწავლო პროცესის მენეჯერი. დოკუმენტი განსაზღვრავს ასევე ვერიფიკაციის პროცესში მოსალოდნელ რისკებს, პროცესში ჩართულ პირებს, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის/ვალიდაციის პროცედურებს, შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მიდგომებს, მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცედურებს, ასევე ვერიფიკაციის დასკვნისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის საკითხებს.

თუმცა დოკუმენტში არ არის სრულად განსაზღვრული: ვერიფიკაციის პროცესის ძირითადი ეტაპები ეტაპობრივად და თანმიმდევრულად; ვერიფიკაციის ჯგუფის წევრთა კომპეტენციები და მათი როლი; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევის წესები; ვერიფიკაციის თითოეული პრინციპის — ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა შემოწმების საკითხები; ინფორმირების მექანიზმები — ვადები, ფორმა, პასუხისმგებელი პირები. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ ვერიფიკაციის პროცესის მართვის პროცესების სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით უზრუნველყოს ვერიფიკაციის საკითხების განახლება.

2.4.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესის შესაბამისად კოლეჯი უზრუნველყოფს მოპოვებული მტკიცებულებების მართვას, მტკიცებულებები შესაძლებელია არსებობდეს მატერიალური ან ელექტრონნული ფორმით, მტკიცებულებები განთავსდება პროფესიული სტუნდეტის პორტფოლიოში და ინახება 3 წლის ვადით, შემდეგ კი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს ან ნადგურდება შესაბამისი აქტის საფუძველზე. ხოლო განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხელმოწერილი შეფასების უწყისები მატერიალური სახით გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ. აღნიშნული რეგულაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან

2.4.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესის შესაბამისად, მოდულის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია, შეფასების უწყისის შევსებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში სტუდენტებს გააცნოს მიღებული შეფასების შედეგები. რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და სტუდენტების ინფორმირებას მათი აკადემიური წინსვლის შესახებ. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკაში აღნიშნული პროცედურა არ შემოიფარგლება მხოლოდ შედეგების ოფიციალურად გაცნობით. მასწავლებლები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

სისტემატურად ახორციელებენ უკუკავშირს ყოველდღიური სასწავლო პროცესის ფარგლებში. უკუკავშირის ეს ფორმა ითვალისწინებს სტუდენტების მიმდინარე აქტივობების შეფასებას, მათ გაძლიერებას ან/და მიმართულების მიცემას შემდგომი გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული ხორციელდება როგორც ზეპირი კომენტარების, ასევე კონკრეტული მითითებების სახით დავალებების, ტესტების, პრაქტიკული სამუშაოების შესრულების პროცესში.

2.4.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესი;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

29.07.2025
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---
---